

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სტილ საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	12
1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა	12
2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (ა) შესაბამისობის დეკლარაცია	12
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა	13
3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები	13
3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი	14
3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	14
3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება	14
3.5. ანარიცხები	14
3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14
3.7. ძირითადი საშუალებები	15
3.8. გუდვილი	16
3.9. არამატერიალური აქტივები (გუდვილის გარდა)	16
3.10. იჯარა	17
3.12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
3.13. საწესდებო კაპიტალი	17
3.14. დივიდენდები	18
3.15. ამონაგები	18
3.16. ხარჯები	18
3.17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
3.18. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	19
3.19. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	19
შენიშვნა 4: ამონაგები	19
შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება	19

შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	19
შენიშვნა 7: ფინანსური ხარჯი /ფინანსური შემოსავალი.....	20
შენიშვნა 8: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	21
შენიშვნა 9: ფული და ფულის ექვივალენტები	22
შენიშვნა 10: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	22
შენიშვნა 11: სასაქონლო მატერიალური მარაგები	22
შენიშვნა 12: გაცემული სესხები	22
შენიშვნა 13: მიღებული სესხები	23
შენიშვნა 14: სავაჭრო ვალდებულებები	23
.....	23
შენიშვნა 15: დაკავშირებული მხარეები.....	23
16: რისკების მართვა.....	23
16.1 ლიკვიდურობის რისკი	24
16.2 სავალუტო რისკი	24
16.3 საკრედიტო რისკი	24
17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „სტილ საქართველოს“ ჯგუფი“-ს ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სტილ საქართველოს“ ჯგუფი-ს (შემდგომში - „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება: 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს (ერთობლივად „ჯგუფი“) მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან. ასევე მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2025 წლის 31 მაისს. კომპანიამ ვერ წარმოგვიდგინა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის აქტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, კომპანიის აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემის გარკვეული შეზღუდვის (ლიმიტაციის) გამო, ჩვენ არ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობასთან დაკავშირებით, ასევე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 1 იანვრისთვის არსებული მარაგების რაოდენობრივ სისწორესა და მდგომარეობაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ჯგუფის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 42 377 314 ლარისა და 35 811 956 ლარის ღირებულებებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ჯგუფის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ჯგუფის ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ჯგუფის ანგარიშგების ელემენტებში.

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია 7 248 649 ლარის ოდენობით, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7 347 272 ლარის ოდენობით.

კომპანიამ ვერ წარმოგვიდგინა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის აქტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები არსებული რაოდენობრივ კლასიფიკაციასა და თვითღირებულებაზე,

შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რაოდენობრივ, თვითღირებულების და კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აღსანიშნავია და ყურადღებას გამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული შეზღუდვები 2023 წლის ჯგუფის, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტშიც არსებობდა, თუმცა მენეჯმენტის მხრიდან არ არის განხილული.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად ნაღდი ფულის ნაშთი შეფასდა პირობითი მოსაზრებით. პირობითი მოსაზრების საფუძველს წარმოადგენდა არასაკმარისი აუდიტორული მტკიცებულებები. კერძოდ, კომპანიის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი სალაროს ინვენტარიზაციის აქტი. აუდიტის მხრიდანაც ვინაიდან და რადგანაც დანიშნული ვიყავით 2023

შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება; 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

წლის 31 დეკემბრის შემდეგ ვერ მოვახერხეთ ალტერნატიული მეთოდითაც ანგარიშგებაში არსებულ ნაშთზე მტკიცებულებების მოპოვება.

2024 წლის აუდიტის პროცესში შესაძლებელი გახდა სალაროს ნაშთის გადამოწმება. კომპანიამ წარმოადგინა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის სალაროს ინვენტარიზაციის აქტი. ჩვენ მოვიპოვეთ საკმარისი, შესაფერისი და უტყუარი მტკიცებულებები სალაროს ნაშთზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2024 წლის 31 დეკემბრის ფინანსური აუდიტის მოსაზრებაში სალაროს ნაშთან დაკავშირებით შევიდა ცვლილება.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოთაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- შეესაბამება ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბრის

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ინფორმაციის მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს. ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის თანაფარდობა), საწარმოს საქმიანობის შედეგებს (სრული შემოსავლებისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება), ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით იმ შემთხვევაში, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფას-ების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მის ხელთ არსებული ყველა ალტერნატიული წყაროს გამოყენებაზე ინფორმაციების შესაძარებლად და თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით.
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, რომ მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში.

შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

გარდა ამისა ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახვლად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავაკვნიტ, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დაკვანაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებით შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებსა და ასევე, ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა წარმოდგენილი ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთავაწყურობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა გაიცა არის:

მარიამ ბიწაძე (სარეგისტრაციო № SARAS-A-102512)

შპს „აუდიტი 2012“-ს სახელით
სარეგისტრაციო № SARAS-F-291042

20 აგვისტო 2025 წელი

ქუთაისი, საქართველო

მ. ბიწაძე



სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2 024	2 023
შემოსავალი	4	90 297 378	61 671 736
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1 848	2 504
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(74 039 308) -	47 425 988
საერთო მოგება		16 259 918	14 248 252
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(2 197 399) -	1 955 175
მიწოდების და სხვა ხარჯები		(267 987) -	264 714
საოპერაციო მოგება		13 794 533	12 028 363
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)		(1 664 568) -	114 817
ფინანსური შემოსავალი	7	2 494	103 349
ფინანსური ხარჯი	7	(69 337) -	611 960
კურსთაშორის სხვაობა		397 617	911
მოგება დაბეგვრამდე		12 460 738	11 405 846
მოგების გადასახადის ხარჯი		-	
წმინდა მოგება		12 460 738	11 405 846
არამაკონტროლებელი წილი მოგებაში		1 246 074	1 140 585



დირექტორი:
 დავით ფრუიძე

შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიმდინარე აქტივები	შენიშვნა	2 024	2 023
ფულის და ფულის ექვივალენტები	9	633 936	1 081 363
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	27 420 324	22 954 579
მარაგები	11	42 377 314	35 811 956
წინასწარ გაწეული ხარჯები		-	-
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		8 200	-
საგადასახადო აქტივი		368 110	340 604
გაცემული სესხები	12	18 085 230	8 516 188
სულ მიმდინარე აქტივები		88 893 114	68 704 691
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	7 248 649	7 347 272
არამატერიალური აქტივები		1 522	1 902
სულ გრძელვადიანი აქტივები		7 250 171	7 349 174
სულ აქტივები		96 143 285	76 053 865
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გადაფასების რეზერვი		1 235 769	1 235 769
არამაკონტროლებელი წილი		1 246 074	1 140 585
გაუნაწილებელი მოგება		71 200 137	59 978 972
სულ კაპიტალი		73 681 980	62 355 326
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1 399 135	1 695 996
ფინანსური ოჯარა		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიღებული მოკლევადიანი სესხები	13	10 595 415	7 639 364
სულ მიმდინარე ვალდებულებები		11 994 550	9 335 360
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	13	10 466 755	4 363 180
სულ ფინანსური ვალდებულებები		10 466 755	4 363 180
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		96 143 285	76 053 866



დირექტორი:

დავით ფრუიძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
 მდგომარეობით

	გადაფასების რეზერვი	ნტროლებელი წილი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	1235 769	590 160	-	49 888 326	51 714 254
მოგება წლის ბოლოს				11 405 846	11 405 846
გაცემული დივიდენდი			-	1 381 211	- 1 381 211
სხვა ცვლილებები		550 425			550 425
წინა პერიოდის ცვლილებები				66 011	66 011
2023 წლის 31 დეკემბერი	1235 769	1 140 585	-	59 978 972	62 355 326
მოგება წლის ბოლოს				12 460 738	12 460 738
გაცემული დივიდენდი			-	1 751 705	- 1 751 705
სხვა ცვლილებები		105 489			105 489
წინა პერიოდის ცვლილებები				512 132	512 132
2024 წლის 31 დეკემბერი	1235 769	1 246 074	-	71 200 138	73 681 981
	- 0	0		0	

Handwritten signature



დირექტორი:

დავით ფრუიძე

შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	2 024	2 023
რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	102 063 987	76 481 968
დაბრუნებული თანხები	379 381	641 301
მიღებული ფულადი სახსრები	102 443 368	77 123 269
თანხის დაბრუნება მყიდველთან	- 297 336	- 102 093
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	- 91 258 389	- 68 673 671
მიღებული ავანსი	25 405 743	17 615 927
გადახდილი ხელფასები	- 4 358 805	- 956 296
ბიუჯეტი	- 4 396 524	- 5 225 325
ანგარიშვალდებული პირისგან თანხის დაბრუნება/მიღება	-	- 283 125
მცირეფასიანი ხარჯები	- 86 434	- 55 328
გადახდილი ფულადი სახსრები	- 74 991 745	- 57 679 910
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	27 451 623	19 443 359
საპროცენტო შემოსავალი	331	36 819
მიღებული სესხი	10 819 200	4 802 300
გაცემული სესხი	- 10 627 604	- 7 485 848
მიღებული დივიდენდი	-	20 000
სესხის ძირის გადახდა	- 24 828 315	- 16 755 658
პროცენტის გადახდა	- 1 396 402	- 611 960
საბანკო ხარჯი	- 91 116	- 85 716
ჯარიმის გადახდა	- 69 464	- 33
დივიდენდის გადახდა	- 1 600 000	- 1 332 150
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო	- 27 793 370	- 21 412 246
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	- 603
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	603
წმინდა ფულადი სახსრები ყველა საქმიანობიდან	- 341 748	1 969 489
კურსთაშორის სხვაობა	- 104 258	- 33 686
ფული წლის დასაწყისში	1 081 363	3 084 538
ფული წლის ბოლოს	633 936	1 081 363



Handwritten signature in blue ink.

დირექტორი:
დავით ფრუიძე

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

სახელწოდება: სტილ საქართველო. სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; ს/ნ: 401950377; მარეგისტრირებული ორგანო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №10 ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა: დირექტორი - დავითი ფრუიძე, პ/ნ 53001020058 პარტნიორები: 60002001603, კახაბერი სანოძე 50% 53001004179, სერაპიონ ჩირგაძე 50% ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტებში:

შპს „სტილ საქართველო“ (ს/ნ 401950377) დაარსა ფ/პ გივი წიკლაურმა (პ/ნ 01024050005) 2010 წლის 23 სექტემბერს, ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირი №77-ში. 2013 წლის 27 სექტემბერს გივი წიკლაურმა მისი კუთვნილი 100% წილი 3 000 000 ლარად გაყიდა ვაჟა აფციაურზე (პ/ნ 01024013329 – 33,4%), კახაბერი სანოძეზე (პ/ნ 60002001603 – 33,3%) და სერაპიონ ჩირგაძეზე (პ/ნ 53001004179 – 33,3%).

ამავე დროს შეიცვალა შპს-ს იურიდიული მისამართი და გახდა საქართველო, ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №10. 2015 წლის 20 აპრილს ვაჟა აფციაურმა მისი წილი შპს-ში გირავნობით დატვირთა სს „თიბისი ბანკში“. ეს გირავნობა გაუქმდა 2017 წლის 27 ივნისს. ამავე დროს, ვაჟა აფციაურმა მისი კუთვნილი 33,4% წილიდან 16,7% მიჰყიდა კახაბერი სანოძეს და 16,7% - სერაპიონ ჩირგაძეს, თვითოეულს 1609 493,50 ლარად. შედეგად, შპს-ს 50% - 50% წილის მფლობელები გახდნენ კახაბერი სანოძე და სერაპიონ ჩირგაძე.

აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში შპს „სტილ საქართველოს“ დირექტორია დავით ფრუიძე (პ/ნ 53001020058). შპს „სტილ საქართველო“-ს (ს/ნ 401950377) მიერ დაფუძნებულია: 1. შპს „ვესტ გრუპ-WEST GROUP“ (ს/ნ 412692910) - წილი 75%; 2. შპს „სტილ საქართველო-სამეგრელო“ (ს/ნ 412697363) - წილი 90%; 3. შპს „თორი“ (ს/ნ 412728384) - წილი 50 %.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა: ადგილობრივი და უცხოური ბაზრიდან იპორტის სახით არმატურის და რკინის სხვადასხვა კონსტრუქციული ზომების შეძენა და რეალიზაცია. რეალიზაცია ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე.

2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი (ა) შესაბამისობის დეკლარაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის შპს სტილ საქართველოს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ჯგუფში შემავალი საწარმოების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში(ლ), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაბამისი ფინანსური რეზერვი, აგრეთვე, სტილ საქართველოს ფინანსური მდგრადობის გარანტია, ასევე წმინდა აქტივების ღირებულება და ლიკვიდობის მაღალი დონე, საფრთხეს არ უქმნის კომპანიას ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.1 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება შედგება სტილ საქართველოსა და მისი შვილობილი კომპანიის „სტილ სამეგრელოს“ ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველანაირი შიდა ჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

სტილ საქართველოს შვილობილი კომპანიის შესახებ ინფორმაცია:

1. შპს „ვესტ გრუპ-WEST GROUP“ (ს/ნ 412692910) - წილი 75%; (2023-2024 წწ)
2. შპს „სტილ საქართველო-სამეგრელო“ (ს/ნ 412697363) - წილი 90%; (2023-2024 წწ)
3. შპს „თორი“ (ს/ნ 412728384) - წილი 50 %. (2023-2024 წწ)

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3.1. უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

3.2. ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1ევრო	2.9306	2.9753

3.3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

3.4. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას აუქმებს ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

3.5. ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო და მოსალოდნელია, რომ მოთხოვნილი იქნება ვალდებულებების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება. თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3.6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და

გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება დაანგარიშდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულებისა და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

3.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის ისტორიული ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახდელებისა და შეუქცევადი შესყიდვის გადასახდების ჩათვლით, ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც უშუალოდ მიეკუთვნება ნივთის იმ ადგილას მიტანას და მდგომარეობას, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მას შეეძლოს იმუშაოს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ განზრახული წესით; (გ) ნივთის დემონტაჟის, ამოღებისა და იმ ადგილის აღდგენის ხარჯების შეფასება, სადაც ის მდებარეობს; (დ) ვალდებულებას, რომლისთვისაც ჯგუფი წარმოიქმნება ნივთის შემენისას ან კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ნივთის გამოყენების შედეგად სხვა მიზნებისათვის, გარდა ამ პერიოდის განმავლობაში მარაგების წარმოებისათვის.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან საჭიროებისამებრ აღიარებულია ცალკე აქტივად, მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შევა ჯგუფში და აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. მცირე რემონტისა და ყოველდღიური მოვლის ხარჯები გაწევის პერიოდში იხარჯება. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოღებულია.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია, როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება ანაზღაურებად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა:
შენობები	20-50 წელი
ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	2-10 წელი
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი
სხვა	2-10 წელი

3.8. გუდვილი

გუდვილი აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გუდვილი გამოიყოფა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ იმ ჯგუფებზე, რომლებიც მოსალოდნელია რომ წარმოქმნიან ბენეფიტებს ბიზნესების გაერთიანების შემდეგ. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს, რომელზეც ჯგუფი აკონტროლებს გუდვილს და არ აღემატება საოპერაციო სეგმენტს.

ჯგუფი ამოწმებს გუდვილს გაუფასურებაზე სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როდესაც არსებობს ინდიკატორები იმისა, რომ გუდვილი შეიძლება გაუფასურებული იყოს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება, რომელიც შეიცავს გუდვილს, შედარებულია ანაზღაურებად თანხასთან, რომელიც არის ყველაზე მაღალი გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გასხვისების ხარჯები. ნებისმიერი გაუფასურება აღიარებულია დაუყოვნებლივ, როგორც ხარჯი და შემდგომში არ უკუიცივლება.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფარგლებში ოპერაციების გასხვისებიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელზედაც გუდვილი იყო განაწილებული, მოიცავს გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც დაკავშირებულია გასხვისების ოპერაციასთან, რომელიც ჩვეულებრივ იზომება გატანილი ოპერაციის ფარდობითი ღირებულებების და ფულადი სახსრების ნაწილის საფუძველზე.

3.9. არამატერიალური აქტივები (გუდვილის გარდა)

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ

- ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და
- ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მცირდება დაგროვილი ამორტიზაციითა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ღირებულებით.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადაზე.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება ფასდება მაშინ, როდესაც არსებობს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები.

3.10. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება.

იჯარას, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები ემატება საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლის.

3.11 გადასახადები

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიების მოგება, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა არ იბეგრება მოგების გადასახადით. გადასახადით დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ დივიდენდის სახით განაწილებული მოგება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფის შემოსავლების ძირითადი წყარო, კერძოდ საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება გათავისუფლებულია გადასახდელი დღგ-ისგან, ყველა ჩასათველი დღგ-ის ანაზღაურების უფლების შენარჩუნების გარეშე.

3.12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

3.13 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდების მიხედვით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელ(ებ)ის გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.14 დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ჯგუფის სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს. საქართველოს კანონმდებლობა განაწილებს საფუძველს განსაზღვრავს, როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგებას.

3.15 ამონაგები

შემოსავლის აღიარება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით, ფასდათმობითა და პირდაპირი ხელფასებით.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიიდან გამომდინარე, ხელშეკრულების შესრულებული სტადია განისაზღვრება სკოლის მიერ თითოეული აკადემიური კლასისათვის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის მიწოდების შესაბამისად.

ქონების ჩვეულებრივი იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე.

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე. საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

3.16 ხარჯები

ჯგუფი ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ჯგუფს წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

3.17 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ზოგადად არიან დაკავშირებული იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთი და იმავე პირის კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ-ერთ მათგანს აქვს შესაძლებლობა რომ გააკონტოლოს მეორე, აქვს მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ან არის საერთო კონტროლში ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილების მიღებისას. ყურადღება ექცევა ურთიერთდამოკიდებულების ბუნებას და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, სადაც შესვლა არადაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს

შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

ისეთივე პირობებითა და მოცულობით, როგორც არადაკავშირებულ მხარეებს შორის. დაკავშირებულ ყველა მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

3.18 გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე სახის რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წინააღმდეგ სასამართლო ან/და სააღსრულებლო წარმოება არ ხორციელდება.

3.19 წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოახდინია შეცდომის იდენტიფიცირება 2024 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 4: ამონაგები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ამონაგები მოიცავდა:

			2 024	2 023
6110	შემოსავალი	შემოსავალი რეალიზაციიდან	90 178 497	61 523 526
6120	შემოსავალი	გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათ -	21 503	49 277
6190	შემოსავალი	სხვა საოპერაციო შემოსავლები	142 232	201 629
			90 299 226	61 675 878

ამონაგები შეიცავს არმატურის და რკინის ნაკეთობებიდან მიღებულ რეალიზაციის თანხებს.

შენიშვნა 5: რეალიზაციის თვითღირებულება

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

		2 024	2 023
სხვა საერთო-საწარმოო	რეალიზებული პროდუქციის თვითღირ	2 787 401	2 329 063
გაყიდული / შეძენილი ს	გაყიდული / შეძენილი საქონელი	71 251 906	45 096 926
		74 039 307	47 425 988

შენიშვნა 6: ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

		2 024	2 023
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)		780 371	715 684
სოციალური დანარიცხები საერთო-ადმინისტრ. შრ. ანაზღ.		17 777	14 414
საიჯარო ქირა		113 047	117 522
საკანცელარიო ხარჯები		1 664	1 767
კომპიუტერის ხარჯები		708	-
სამეურნეო ხარჯები		11 714	31 615
კომუნიკაციის ხარჯები		11 610	11 356
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები		19 988	20 542
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)		190 178	166 343
ელექტროენერგია და გაზი (საერთო-ადმინისტრაციული)		34 067	37 827
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები		50 000	35 400
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების გვება		336 955	361 914
საგადასახადო ხარჯები		49 476	39 456
აუდიტორული ხარჯები		-	-
საბანკო ხარჯები		98 942	75 703
შეკეთების ხარჯი		209 628	99 628
წარმომადგენლობითი ხარჯები		-	3 725
სხვა მცირეფასიანი ხარჯები		258 238	196 927
სოციალური დანარიცხები		1 918	10 652
საკანცელარიო ხარჯი		201	672
სამეურნეო ხარჯი		1 464	3 457
დაზღვევა		-	-
ელექტრო-ენერგიის ხარჯი		2 486	3 413
საკონსულტაციო ხარჯები		-	-
აუდიტორული ხარჯი		3 540	3 750
გვება და ამორტიზაცია		665	713
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება		1 771	2 203
		-	-
საქველმოქმედო ხარჯები		990	495
		2 197 399	1 955 175

ადმინისტრაციული ხარჯი მოიცავს ყველა იმ ყოველდღიურ საოპერაციო ხარჯის დარიცხვას რაც ბიზნეს ოპერირებისთვის ჭირდება კომპანიას.

შენიშვნა 7: ფინანსური ხარჯი /ფინანსური შემოსავალი

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფინანსური ხარჯი და შემოსავალი მოიცავდა

		2 024	2 023
საპროცენტო ხარჯები		- 1 465 739	- 611 960

საპროცენტო ხარჯები მოიცავს ბანკებისგან აღებულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს

		2 024	2 023
საპროცენტო შემოსავლები		2 494	103 348

საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს

შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 8: ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები მოიცავდა

საბალანსო ღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენიშვნა	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ძალადგანი, თბოტექნიკური და	ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის პირთიერი	კომპიუტ. ტექნიკა და პროგრამული პროგრამები	ავიჯი	ინვენტარი	სპეციალური ინსტრუმენტები	მსუბუქი ავტომობილები	სხვა ავტომობილები	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	1 616 389	21 900	4 300 722	846 080	1 431 014	23 729	19 895	20 196	10 202	1 525	11 507	257 182	260 424	8 820 764
შეძენა	526 716	605 578	-	-	1 373	-	1 290	-	12 248	2 173	-	-	-	1 149 378
გასვლა/გაყიდვა	-	15 000	-	-	4 237	-	91 365	-	475	-	-	-	-	111 077
2023 წლის 31 დეკემბერი	2 128 106	627 478	4 300 722	841 842	1 341 022	23 729	21 184	20 196	21 976	3 697	11 507	257 182	260 424	9 859 065
შეძენა	-	380 914	-	-	1 017	-	-	-	8 110	-	-	-	86 365	476 406
გასვლა/გაყიდვა	-	237 790	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	237 790
2024 წლის 31 დეკემბერი	1 890 316	1 008 392	4 300 722	841 842	1 342 039	23 729	21 184	20 196	30 086	3 697	11 507	257 182	346 788	10 097 681
ცვლილება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	526 142	-	285 451	-	993 032	-	15 276	-	16 134	-	2 207 160
გასვლის შედეგად კლიმატიზირებული ცვლილება	-	-	-	-	-	57 518	-	-	-	-	-	-	-	57 518
ცვლილება	-	-	-	188 615	-	27 828	-	89 692	-	1 691	-	1 087	-	362 150
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	714 757	-	313 278	-	1 025 206	-	16 967	-	17 221	-	2 511 793
გასვლის შედეგად კლიმატიზირებული ცვლილება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცვლილება	-	-	-	179 298	-	26 640	-	72 178	-	1 352	-	1 188	-	337 239
2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	894 055	-	339 918	-	1 097 384	-	18 319	-	18 409	-	2 849 032
ნეტო საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	1 616 389	21 900	3 774 580	560 629	437 982	8 453	3 760	3 770	2 142	943	4 292	125 627	53 135	6 613 604
2023 წლის 31 დეკემბერი	2 128 106	627 478	3 585 965	528 564	315 816	6 762	3 963	2 995	12 937	2 891	3 164	100 502	28 130	7 347 272
2024 წლის 31 დეკემბერი	1 890 316	1 008 392	3 406 667	501 924	244 655	5 410	2 775	2 374	17 548	2 313	2 261	80 401	83 612	7 248 649

შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 9: ფული და ფულის ექვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავდა:

	2 024	2 023
სალარო	106 668	404 737
ადგილობრივი ვალუტა ბანკში	472 904	654 429
უცხოური ვალუტა ბანკში	54 365	22 197
სულ	633 936	1 081 363

შენიშვნა 10: სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები მოიცავდა:

	2 024	2 023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	27 420 324	22 954 579
სულ	27 420 324	22 954 579

შენიშვნა 11: სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2 024	2 023
გასაყიდი საქონელი	42 237 066	35 695 890
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	140 248	116 067
	42 377 314	35 811 956

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის მარაგი მოიცავდა:

შენიშვნა 12: გაცემული სესხები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავდა:

	2 024	2 023
გაცემული სესხები	18 085 230	8 516 188
	18 085 230	8 516 188

კომპანიას გაცემული აქვს სესხები რამდენიმე იურიდიულ პირზე .

შპს „სტილ საქართველოს“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება;
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

შენიშვნა 13: მიღებული სესხები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავდა:

მოკლევადიანი ნაწილი

	2 024	2 023
მოკლევადიანი სესხები	10 322 047	7 365 994
სესხების პარტნიორებისაგან	267 510	267 510
სესხების პროცენტი პარტნიორებისაგან	5 860	5 860
	10 595 416	7 639 364

გრძელვადიანი ნაწილი

	2 024	2 023
გრძელვადიანი სესხები	10 466 755	4 363 180
	10 466 755	4 363 180

სესხები მოიცავს როგორც ფიზიკური პირებიდან ასევე ბანკებიდან მიღებულ სესხებს როგორც უცხოურ ვალუტასი ასევე ადგილობრივში საკრედიტო ხაზის შეღწეკრულების თანახმად. საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 9% დან 12 % მდე.

შენიშვნა 14: საგაჭრო ვალდებულებები

	2 024	2 023
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებუ	1 072 434	423 063
მიღებული ავანსები	1	25 299
ანგარიშსწორებანი ლარებში		-
გადასახდელი დივიდენდები	326 700	-
	1 399 135	448 362

შენიშვნა 15: დაკავშირებული მხარეები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისათვის კომპანიის დაკავშირებული მხარეების ოპერაციები მოიცავდა

	2 024	2 023
რეალიზაცია	5 269 202	4 626 200
მოთხოვნის ნაშთი	2 241 945	1 849 183
ვალდებულების ნაშთი	-	46 347
ხელფასი მენეჯმენტის	15 000	15 000

დაკავშირებული მხარეები მოიცავს როგორც იურიდიულ პირებს ასევე მენეჯმენტს.

16: რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და

რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

16.1 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

	2024	2023
მიმდინარე აქტივები	88893114	68704691
მიმდინარე ვალდებულებები	-11994550	-9335360
წმინდა პოზიცია	76898564	59369331

16.2 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. სავალუტო რისკი არის საფრთხე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება სავალუტო კურსის ცვლილების გამო შეიცვლება. სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე რომლებიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

16.3 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკის ალბათობა, რომ მოვალე ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი მოთხოვნა ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს მოთხოვნის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისათვის.

საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი მონიტორინგს უწევს ვადაგადაცილებულ დღეებს. იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს ვადაგადაცილების 3 დონე.

დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება, ფული და ფულის ეკვივალენტები და გაცემული სესხები წარმოადგენენ საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხის შეგროვებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზიანის მნიშვნელოვანი რისკი.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2025 წლის 20 ივლისს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

მმართველობითი ანგარიში

შპს სტილ საქართველო და შვილობილი კომპანიები

2024

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა	4
კომპანიის საქმიანობის შედეგები	4
კომპანიის განვითარების გეგმები	4
კომპანიის მომგებიანობისა და სხვა მაჩვენებლები	5-7
წარმოებული პროდუქცია	8
ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ	9
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	9
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	9
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	9
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების	
რისკების მიმოხილვას და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	9-11

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიშგება, მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცდა გამოსაშვებად **2025 წლის 27 სექტემბერი**.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობითი ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას;
- კომპანიის საქმიანობის შედეგები;
- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

შპს სტილ საქართველო

დირექტორი

დავითი ფრუიძე -----

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ ინფორმაცია

შპს სტილ საქართველო დაარსდა 2010 წელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართი საქართველო, ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი, N10 .

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს დირექტორი და საერთო კრება, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი გახლავთ დავით ფრუიძე პ/ნ 53001020058, რომელიც გახლავთ ერთპიროვნული მართველი.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

კახაბერ სანოძე პ/ნ 60002001603 რომლის წილი კაპიტალში შეადგენს - 50 %

სერაპიონ ჩირგაძე პ/ნ 53001004179 რომლის წილი კაპიტალში შეადგენს - 50 %

ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულება არის რკინა/ მეტალის იმპორტი და საქართველოს ბაზარზე რეალიზაცია როგორც საცალო, ისე საბითუმო მომხმარებლებზე . კომპანიას, ასევე აქვს წარმოება გადასახური მასალების დარგში. კერძოდ , მოთუთიებული და შედებილი : პროფნასტილი , მეტალოკრამიტი , გოფირებული სახურავი . კომპანიის დამატებით საქმიანობა არის აგრეთვე ტრანსპორტირების მომსახურებას მომხმარებლის დაკვეთით. (მიწოდების სერვისი) ;

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საერთო ფართი , სადაც განთავსებულია საწყობები შეადგენს 15 000 კვ.მ.ს . კომპანია ბაზარზე პერიოდულ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში :

ქუთაისი, ზესტაფონი, სენაკის და ზუგდიდის მაღაზია-საწყობები .

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური შემოსავლები უკავშირდება ქუთაისის ფილიალს.

კომპანია და საქმიანობის შედეგები

კომპანიაში 2019-2020 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა , კერძოდ ექსპლოატაციაში შევიდა ძირითადი სასაწყობო და სარეალიზაციო ობიექტები , რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის მზარდ შემოსავლებზე.

ასევე მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის მიმდინარეობს დამატებითი სასაწყობო და სარეალიზაციო პუნქტების მოწყობა.

კომპანიის განვითარების გეგმები

„სტილ საქართველო“ 14 წლიანი გამოცდილების მქონე კომპანია არის , რომელიც სპეციალიზირებულია რკინა-კავეულის პროდუქტების საცალო და საბითუმო ვაჭრობაში . კომპანიის განვითარების გეგმის მთავარი მიზანი გახლავთ ბაზარზე პოზიციების გაძლიერება, ბაზრის წილის გაზრდა და მომგებიანობის გაუმჯობესება , რაც უზრუნველყოფს მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას .

კომპანიის ხედვა : გახდეს წამყვანი ინდუსტრიაში ქვეყნის დონეზე.

კომპანიის მისია : მაღალი ხარისხის პროდუქტის მიწოდება და საუკეთესო მომსახურების შეთავაზება როგორც საცალო ასევე საბითუმო მყიდველებისთვის .

კომპანიის ღირებულებები : ხარისხი , სანდოობა, ინოვაცია და მომხმარებელზე ორიენტირება .

კომპანიის მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლები

ლიკვიდობის კოეფიციენტები						2024	2023	
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	=	მიმდინარე აქტივები				=	8,6	8,57
		მიმდინარე ვალდებულებები						
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	=	მიმდინარე აქტივები - მარაგები				=	4,7	4,43
		მიმდინარე ვალდებულებები						
კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი						2024	2023	
ვალდებულებები მთლიან აქტივებთან	=	ვალდებულებები				=	0,1	0,06
		მთლიან აქტივები						
საპროცენტო ხარჯის დაფარვის კოეფიციენტი	=	საოპერაციო მოგება				=	10	21,4
		საპროცენტო ხარჯი						
მომგებიანობის კოეფიციენტები						2024	2023	
წმინდა მოგების მარჟა	=	წმინდა მოგება				=	0,1	0,19
		გაყიდვები						
საერთო მოგების მარჟა	=	საერთო მოგება				=	0,18	0,24
		გაყიდვები						
მოგება აქტივებზე	=	წმინდა მოგება				=	0,14	0,16
		მთლიანი აქტივები						

ლიკვიდობის მაჩვენებლები

- მიმდინარე ლიკვიდობა: 2023 წელს შეადგენდა 8,57-ს, 2024 წელს გაიზარდა 8,6-მდე (+0,03 ერთეული, ანუ +0,3%).
- სწრაფი ლიკვიდობა: 2023 წელს იყო 4,43, 2024 წელს გაიზარდა 4,7-მდე (+0,27 ერთეული, ანუ +6,1%).

მაჩვენებლები მიუთითებს, რომ კომპანიას აქვს მაღიან მაღალი გადახდისუნარიანობა მოკლევადიან ვალდებულებებთან მიმართებით. ცვლილება პოზიტიურია, თუმცა გადაჭარბებული ლიკვიდობა შესაძლოა მიუთითებდეს არაეფექტიანად გამოყენებულ რესურსებზე.

კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლები

- ვალდებულებები კაპიტალში: 2023 წელს 0,06, 2024 წელს 0,1 (+0,04 ერთეული, ანუ +66,7%).
- საპროცენტო ხარჯის დაფარვა: 2023 წელს 21,4, 2024 წელს შემცირდა 10-მდე (-11,4 ერთეული, ანუ -53,3%).

ვალდებულებების წილი კაპიტალში კვლავ დაბალია, მაგრამ 66%-ით გაზარდა მიუთითებს გარკვეულ ფინანსურ დატვირთვაზე. მიუხედავად ამისა, კომპანიის დამოკიდებულება სესხებზე კვლავ მინიმალურია.

საპროცენტო ხარჯების დაფარვის კოეფიციენტის შემცირება საგრძნობია: მოგება საკმარისია პროცენტების დასაფარად, მაგრამ მისი ზედმეტი ბუფერი მკვეთრად შემცირდა.

მომგებიანობის მაჩვენებლები

- წინდის მოგების მარჟა: 2023 → 0,19, 2024 → 0,1 (-0,09 ერთეული, ანუ -47%).
- საერთო მოგების მარჟა: 2023 → 0,24, 2024 → 0,18 (-0,06 ერთეული, ანუ -25%).
- მოგება აქტივებზე (ROA): 2023 → 0,16, 2024 → 0,14 (-0,02 ერთეული, ანუ -12,5%).

ყველა მომგებიანობის მაჩვენებელი შემცირებულია. ყველაზე მკვეთრად დაეცა წინდის მოგების მარჟა (-47%), რაც მიუთითებს შემოსავლების და ხარჯების შორის არსებული დისბალანსის ზრდაზე.

საერთო მოგების მარჟა და ROA ასევე შემცირდა, რაც ასახავს ეფექტიანობის შემცირებას და აქტივების ნაკლებ პროდუქტიულობას.


ჯამური ანალიზი

- ლიკვიდობა: პოზიტიური, მაგრამ ზედმეტად მაღალია; რესურსების ნაწილი არ არის ჩართული მოგების გენერირებაში.
- კაპიტალის სტრუქტურა: ვალდებულებების წილი ოდნავ გაიზარდა, თუმცა საერთო სურათში კომპანია კვლავ თითქმის მთლიანად საკუთარი კაპიტალით ფინანსდება. ეს ზრდის სტაბილურობას, მაგრამ ამცირებს კაპიტალის ოპტიმალურ გამოყენებას.
- მომგებიანობა: 2024 წელს კომპანიამ ფაქტობრივად დაკარგა თითქმის ნახევარი მომგებიანობა მოგების მარჟის კუთხით. ეს ყველაზე სერიოზული სიგნალია, რადგან მიუთითებს ან ხარჯების ზრდაზე, ან შემოსავლების შემცირებაზე, ან ორივეზე ერთად.

დასკვნა:

კომპანია ფინანსურად სტაბილურია და ვალებისგან თითქმის დამოუკიდებელი, თუმცა 2024 წელს შეინიშნება მომგებიანობის მკვეთრი შემცირება. რეკომენდებულია:

- ხარჯების ოპტიმიზაცია და სტრუქტურის დეტალური ანალიზი,
- შემოსავლების ზრდის სტრატეგიების განსაზღვრა (ფასების პოლიტიკა, ახალი ბაზრები),
- რესურსების უფრო აქტიური გამოყენება (მაღალი ლიკვიდობის გათვალისწინებით),
- დაბალი ვალებით სარგებლობის პირობებში, შესაძლებელი იქნება ზომიერი სესხის გამოყენება განვითარებისთვის





წარმოებული პროდუქცია:

შპს სტილ საქართველო ახორციელებს საცალო და საბითუმო ვაჭრობას თანამედროვე ტექნოლოგიების და ხარისხის სტანდარტების დაცვით. კომპანია მუდმივად ზრუნავს მომხმარებელზე და მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად ამარაგებს ადგილობრივ ბაზარს.

კომპანიის ძირითადი პროდუქტებია :

1. არმატურა
2. ლითონის ნაწარმი
3. მილები
4. მილები, სხვადასხვა არმატურა
5. რკინა
6. სახურავი



კომპანიის უმთავრესი ღირებულებებია:

- მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და წარმატებისკენ;
- მუდმივი სწრაფვა მომხმარებლების, თანამშრომლების, პარტნიორებისა და კლიენტების ნდობის მოპოვებისკენ;
- მუდმივი სწრაფვა მომხმარებლების მოთხოვნებზე მომსახურების მაქსიმალურ მორგებაზე, რათა მათ შეძლონ სასურველი მოძრავი ქონების სასურველ ფასად შეძენა;
- მუდმივი ზრუნვა მომსახურების სისწრაფის, უსაფრთხოების და დაბალი ტარიფების უზრუნველსაყოფად;
- მომხმარებლისთვის ხელსაყრელი გადახდის პირობების შეთავაზება;
- მომხმარებლისთვის მაღალკვალიფიციური კონსულტაციების გაწევა ავტომანქანისა და სხვა პროდუქციის შერჩევასთან და მათ ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით;
- მომხმარებლისთვის მაღალკვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის და მომსახურების გაწევა ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სადაო საკითხზე.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

2023-2024 წწ კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას აქვს ფილიალები შემდეგ ქალაქებში :: ქუთაისი, ზესტაფონი, სენაკი, ზუგდიდი.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.

კომპანიას არ გააჩნია საკუთარი აქციები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები შეიძლება წარმოიქმნას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონკურენციის გაზრდა და სხვა ფორმები გააფართოვებენ თავიანთი მოქმედების არეალს, ან მოხდება ცვლილება საგადასახდო კანონმდებლობაში რომელიც გამოიწვევს გადასახადების მკვეთრ ზრდას.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის ანალოგიური ფაქტორი არ ფიქსირდება და მომავალშიც არ არის მოსალოდნელი რაიმე ასეთი ფაქტორები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს კომპანიის საქმიანობაზე.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიას შემუშავებული აქვს კლიენტების ინტერესებზე მორგებული მენეჯმენტი, რათა მათ შეძლონ მაქსიმალურად დაბალ ფასად შეიძინონ მაღალხარისხიანი ხილ -ბოსტეული

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ
ფინანსური რისკები

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და საინვესტიციო რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და საინვესტიციო რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და საინვესტიციო რისკების შესამცირებლად.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში,

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

დებიტორული დავალიანება: მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველი საბალანსო თარიღისათვის.სავაჭრო დებიტორებიდან მოთხოვნები ინდივიდუალურად ფასდება თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას კომპანიის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობა თუ რამდენად

დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას. ყოველ კონტრაგენტთან გადახდის პირობებს არეგულირებს ხელშეკრულება. ხოლო ჯგუფური მუდგომის დროს იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილბულ დღეებზე, კომპანიას აქვს 4

ვადაგადაცილების დონე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე,

კომპანიის საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება კონტრაგენტებისგან წინასწარი გადახდების მოთხოვნით. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს კომპანიისათვის. სავაჭრო დებიტორები შედგებიან

მრავალი მომხმარებლისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საექვო ვალების რეზერვის შექმნით.

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს დადებითი ლიკვიდურობის პოზიცია და არ დგას ლიკვიდურობის რისკის წინაშე.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი. უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს,

კომპანია გაყიდვებს არ ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, ხოლო შესყიდვების წილი მიზერულია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად არ დგას სავალუტო რისკის წინაშე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი

ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე,

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების

მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

შპს სტილ საქართველო

დირექტორი




დავითი ფრუიძე